



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №20

2018 წლის 6 თებერვალი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №47 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე


„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №47 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ (www.matsne.gov.ge 11/12/2017; 270070000.35.143.016455) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი დანართი №2-ის სახით (თან ერთვის).

მუხლი 2. დადგენილება გავრცელდეს 2018 წლის პირველი თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი
სარგოები

№	შტატი	თანამდებობრივი სარგო
1	მერი	3100
2	მერის პირველი მოადგილე	1800
3	მერის მოადგილე	1700
4	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1300
5	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1100
6	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	800
7	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	700
8	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	600
9	მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1000